ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 28 ნოემბრის სხდომის

ოქმი #9

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 28 ნოემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 35 წევრი, სხდომას ესწრებოდა 18 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე და გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ;
2. დოქტორანტების თემების და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ასოცირებულ პროფესორ ვ. ტრაპაიძეს. საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის ტრადიციული კონფერენციის სავარაუდო ვადები - 2025 წლის 3-8 თებერვალი, ასევე ცვლილებები საორგანიზაციო კომიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საფაკულტეტო კონფერენციის ვადების დადგენისა და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-13 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდეს 2025 წლის 3-8 თებერვალს;
2. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა.

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - დოქტორანტების თემების და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ. ტრაპაიძემ. მან ფიზიკის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის დადგენილების საფუძველზე (იხ. დანართი 1)

საბჭოს წევრებს წარუდგინა დოქტორანტ მაია ტოპეშაშვილის სადისერტაციო თემისა და ხელმძღვანელების შეცვლის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ მაია ტოპეშაშვილის ახალ ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ პროფესორი თამაზ მძინარაშვილი და ასოცირებული პროფესორი რევაზ შანიძე.

მაია ტოპეშაშვილის ადრინდელი სადისერტაციო თემა შეიცვალოს შემდეგი თემით ბიოფიზიკის კათედრის თემატიკიდან: „ბიოპოლიმერების (დნმ, ცილები), მათი კომპლექსების, ბაქტერიოფაგების სივრცული სტრუქტურის ფიზიკური მეთოდებით კვლევა".

სადისერტაციო ნაშრომის კონკრეტული ამოცანა კი შეიცვალოს შემდეგი ამოცანით: „რადიაციული თერაპიის მკურნალობის მეთოდების ზემოქმედების მექანიზმები ბიოლოგიურ ორგანიზმებზე, დოზის პარამეტრის ანალიზი და მეორადი სიმსივნეების წარმოქმნის რისკი".

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხი. ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ საბჭოს წევრებს მიმართა აზრი გამოეთქვათ თსუ-სთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებზე. ბატონმა პეტრემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შესთავაზა დადგენილების სავარაუდო ტექსტი (იხ. დანართი 2).

აზრი გამოთქვა: პროფესორებმა ნ.დორეულმა, ზ.სეფერთელაძემ, გ.ღვედაშვილმა, თ.ლეჟავამ, ნ.თაყაიშვილმა, ი.ჩიკვაიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დადგენილების ტექსტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიმართვის ტექსტი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე (იხ. დანართი 2).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა პ. ბაბილუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი თ. დავითაშვილი